სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

აღმასრულებელი საბჭოს 2020 წლის 07 მაისის

ს ხ დ ო მ ი ს ო ქ მ ი

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

მისამართი: დისტანციური სხდომა (Webex პლატფორმის გამოყენებით)

სხდომის დაწყების დრო: 19:30

დისტანციურ რეჟიმში სხდომაზე მონაწილე აღმასრულებელი საბჭოს წევრები: დავით ასათიანი (თავმჯდომარე), მამუკა ნოზაძე, ციცინო ცხვედიანი, ზურაბ როსტიაშვილი, მარიამ კუბლაშვილი, გიორგი თევზაძე, ტარიელ კაკაბაძე, გიორგი ტურაზაშვილი, დათუნა მოდებაძე.

საკითხი 1. ასოციაციაში გაწევრიანება.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ **ლიანა მაჭარაშვილს და ნინო ხარებაშვილს** წარმოდგენილი ჰქონდათ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის, 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სრული, ერთწლიანი კურსის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი და გაწევრიანებისთვის საჭირო ყველა დოკუმენტაცია; შესაბამისად, აღნიშნული პირების განცხადებები თანდართული დოკუმენტებითურთ აკმაყოფილებს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებს.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ განცხადებებს და დოკუმენტებს და ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად იქნა მიღებულ გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ლიანა მაჭარაშვილის და ნინო ხარებაშვილის მიერ წარმოდგენილი განცხადებები ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანების თაობაზე.

საკითხი 2. ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანება.

წევრები გაეცნენ **გიორგი ბერიშვილის** განცხადებას ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანებისთვის თაობაზე. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნული პირის მიერ წარმოდგენილი განცხადებას თან ერთვის ყველა საჭირო დოკუმენტი და შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებთან.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად, დაკმაყოფილდეს გიორგი ბერიშვილის მიერ ასოციაციაში ხელახლა გაწევრიანებისთვის წარმოდგენილი განცხადება.

საკითხი 3. წევრობის შეჩერების შესახებ განცხადებების განხილვა.

წევრები გაეცნენ ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 21^2 მუხლის, პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, 2020 წლის საწევრო დავალიანების მქონე წევრის - **ნინო შაბურიშვილის** განცხადებას წევრობის შეჩერების შესახებ: აღმასრულებელი საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ განმცხადებელ წევრს, რომელსაც ასოციაციის წესდების 29-ე მუხლის, 29.3 პუნქტის თანახმად, 2020 წლის საწევრო აქვს გადასახდელი, ეცნობოს, რომ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის, 21^2 მუხლის, პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, აღმასრულებელი საბჭო ვალდებულია მიიღოს გადაწყვეტილება ადვოკატისთვის წევრობის შეჩერების შესახებ. თუმცა, წევრობის შეჩერება მანამდე არსებული დავალიანების გაუქმების საფუძველი არ არის და ამავე კანონის 21^3 მუხლის, პირველი პუნქტის, “ზ” ქვეპუნქტის თანახმად, საწევრო გადასახადის გადაუხდელობის შემთხვევაში, პირს შეუწყდება ასოციაციის წევრობა. გარდა ამისა, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, არსებობს 2012 წლის 30 მაისის ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილება, რომლის თანახმად: “საწევრო დავალიანების მქონე პირს, რომელიც მომართავს ასოციაციას პირადი განცხადებით წევრობის შეჩერების შესახებ, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 21^2 მუხლის, 1-ლი პუნქტის (ადვოკატს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა შეუჩერდება ამ კანონის 21^3 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესით, ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით), „ა“ ქვეპუნქტის (პირადი განცხადების საფუძველზე) თანახმად, დაუკმაყოფილდეს განცხადება წევრობის შეჩერების შესახებ; თუმცა, წევრობის შეჩერება არ გახდება უკვე არსებული საწევრო დავალიანებისგან გათავისუფლების საფუძველი, რომლის გადახდის ვალდებულება პირს წევრობის შეჩერებამდე, ადვოკატთა ასოციაციის წესდების 29-ე მუხლის, 29.3 პუნქტის (ყოველი მომდევნო წლის საწევრო შენატანის გადახდა ხდება ყოველწლიურად, მიმდინარე წლის 31 დეკემბრამდე) თანახმად წარმოეშვა. საწევრო დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში, უფლებამოსილება შეჩერებულ ადვოკატს, “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის, 21^3 მუხლის, პირველი პუნქტის (ადვოკატს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა შეუწყდება), „ზ“ ქვეპუნქტის (თუ არ იხდის საწევრო გადასახადს) თანახმად, შეუწყდება ასოციაციის წევრობა“.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: "ადვოკატთა შესახებ" კანონის 21[2] მუხლის 1-ლი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის თანახმად, დაკმაყოფილდეს ზემოაღნიშნული პირის განცხადება წევრობის შეჩერების შესახებ. ამასთან, 2020 წლის საწევრო დავალიანების მქონე პირს - ნინო შაბურიშვილს ეცნობოს ინფორმაცია მის მიმართ არსებული საწევრო დავალიანების და 2012 წლის 30 მაისის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილების შესახებ, აგრეთვე იმის შესახებ, რომ დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში მას შეუწყდება ასოციაციის წევრობა.

საკითხი 4. ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატის დამტკიცება

წევრები გაეცნენ ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატის - ლევან ხარებავას კანდიდატურას თანდართული ბიოგრაფიით.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებელი აკმაყოფილებს პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების 10.1 და 10.2 პუნქტებით დადგენილ მოთხოვნებს.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატად ლევან ხარებავას კანდიდატურა.

საკითხი 5. ადვოკატთა ასოციაციის 2020 წლის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანა;

თავმჯდომარემ წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ კორონავირუსის პანდემიით გამოწვეულმა გლობალურმა კრიზისმა იურიდიული პროფესიაც მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დააყენა, რამაც უარყოფითად იმოქმედა წევრთა ფინანსურ მდგომარეობაზე.

მისი წინადადებაა, ასოციაციის 2020 წლის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანა კოლეგების მიმართ თანადგომის აღმოჩენის და შესაბამისი მხარდაჭერის ღონისძიებების განხორციელების მიზნით.

წევრები დეტალურად გაეცნენ წარმოდგენილ ცვლილებების პაკეტს, რომლის მიხედვით ბიუჯეტით გათვალისწინებული სასწავლო ცენტრის, ასოციაციის კომიტეტების, სამივლინებო და წარმომადგენლობითი თანხების შემცირების ხარჯზე გაიზარდოს „ადვოკატთა სოციალური დახმარების ფონდის" ბიუჯეტი. წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის 2020 წლის ბიუჯეტში შესატანი ცვლილებების პაკეტი სხდომაზე წარმოდგენილი სახით (დანართი 1).

საკითხი 6. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრთა მხარდაჭერის ღონისძიებების გეგმის და გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებებით სარგებლობისთვის, ასოციაციისადმი მიმართვის წესის დამტკიცება.

თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ადვოკატთა პროფესიული ერთობის მთავარი პრინციპი ყოველთვის იყო და იქნება ერთმანეთის მიმართ კოლეგიური სოლიდარობა, მათ შორის იმ წევრების მიმართ თანადგომა, რომლებიც გარკვეულ ფინანსურ სირთულეებს განიცდიან. გარდა იმისა, რომ ამ მიმართულებით, ჯერ კიდევ 2019 წლის 31 იანვარს აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით დადგინდა მთელი რიგი საწევრო შეღავათები, რომლითაც უკვე სარგებლობს 1500-მდე ასოციაციის წევრი, მისი წინადადებაა, ორგანიზაციის ფინანსური მდგრადობის შენარჩუნების გათვალისწინებით, კოლეგების მიმართ თანადგომის აღმოჩენად, დამტკიცდეს წევრთა მხარდაჭერის შესაბამისი ღონისძიებების შემუშავებული გეგმის პროექტი.

წევრები დეტალურად გაეცნენ თავმჯდომარის მიერ წარმოდგენილ ასოციაციის წევრთა მხარდაჭერის ღონისძიებების გეგმის პროექტს, რომელიც მოიცავდა სამ მიმართულებას და აღნიშნული ღონისძიებებით სარგებლობისთვის, ასოციაციისადმი შესაბამისი მიმართვის წესს. წევრებმა მხარი დაუჭირეს წარმოდგენილ გეგმას და ასევე გამოითქვა გარკვეული ორგანიზაციულ-ტექნიკური ხასიათის შენიშვნები და წინადადებები.

მსჯელობის შემდეგ, **აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრთა მხარდაჭერის ღონისძიებების გეგმა სხდომაზე გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით და ასევე, გეგმით განსაზღვრული ღონისძიებებით სარგებლობისთვის ასოციაციისადმი მიმართვის წესი (დანართი 2).**

საკითხი 7. აღმასრულებელი საბჭოს 2018 წლის 22 იანვრით დადგენილ ადვოკატთა სოციალური დახმარების ფონდის მიერ ფინანსური დახმარების გაცემის წესში ცვლილების შეტანა.

თავმჯდომარემ განაცხადა, რომ 2018 წლის 22 იანვარს აღმასრულებელმა საბჭომ დაამტკიცა ადვოკატთა სოციალური დახმარების ფონდის მიერ ფინანსური დახმარების გაცემის წესი, რომლის „ზ“ პუნქტი ფორმულირებული იყო შემდეგნაირად: “აღნიშნულ წესში მითითებული გარემოებების გარდა, სოციალური დახმარების ფონდის გამგეობას შეუძლია გამონაკლისის წესით გასცეს სოციალური დახმარება სათანადო მტკიცებულებების წარმოდგენის შემთხვევაში”.

იმის გათვალისწინებით, რომ "ადვოკატთა სოციალური დახმარების ფონდის" ბიუჯეტი გაიზარდა და ფონდს ექნება მეტი შესაძლებლობა მხარდაჭერა აღმოუჩინოს წევრებს, თავმჯდომარის წინადადებაა აღნიშნული წესის „ზ" ქვეპუნტში შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „ზემოაღნიშნული გარემოებების გარდა, ფონდი უფლებამოსილია, გამონაკლისის წესით, სათანადო მტკიცებულებების წარმოდგენის საფუძველზე, გასცეს სოციალური დახმარება იმ წევრებზე, რომლებიც კორონავირუსის პანდემიით გამოწვეული გლობალური კრიზისის ფონზე მძიმე ყოფითი და სოციალური პირობების წინაშე აღმოჩნდნენ".

წევრებმა მოისმინეს ინფორმაცია. მათი მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს აღმასრულებელი საბჭოს 2018 წლის 22 იანვრით დადგენილ ადვოკატთა სოციალური დახმარების ფონდის მიერ ფინანსური დახმარების გაცემის წესის „ზ" ქვეპუნქტში შეტანილი ცვლილება სხდომაზე წარმოდგენილი რედაქციით.

საკითხი 8. სხვადასხვა

წევრები გაეცნენ ადვოკატ რევაზ კაჭკაჭაშვილის (სიითი N 0988) გარდაცვალების მოწმობის ასლს. მათ მიეწოდათ ინფორმაცია, რომ საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ" 21^3 მუხლის, მე-2 პუნქტის თანახმად, აღმასრულებელი საბჭო ცნობად იღებს ასოციაციის წევრის გარდაცვალების ფაქტს და შეაქვს შესაბამისი ცვლილება ასოციაციის წევრთა ერთიან სიაში.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: ცნობად იქნას მიღებული რევაზ კაჭკაჭაშვილის (სიითი N 0988) გარდაცვალების ფაქტი და წევრი ამოღებულ იქნას ასოციაციის წევრთა ერთიანი სიიდან.

აღმასრულებელი საბჭოს სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

წინამდებარე აქტი გამოქვეყნდეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მისამართი: www.gba.ge.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N6).

დავით ასათიანი

თავმჯდომარე